თეთრი ქალაქი

თეთრი ქალაქი რომ ვახსენეთ, მკითხველს უპირველესად ალბათ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე შეფენილი თელ-ავივის იმ ნაწილისკენ გაექცა მზერა, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში ნაცისტურ ტალღას გარიდებულ ებრაელ არქიტექტორთა ძალისხმევით დაიბადა. ბაუჰაუზის სტილში გადაწყვეტილი ათასობით ნაგებობა მსოფლიო მოდერნისტული არქიტექტურის უდიდეს კონცენტრაციად იქცა და ამიტომაც აღმოჩნდა იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში თეთრ ქალაქად წოდებული. თუმცა, ამჯერად ამ თეთრ ქალაქზე არ ვამახვილებთ ყურადღებას, ჩვენ მწერლის თვალით დანახული სხვა თეთრი ქალაქის შესახებ გვსურს ვესაუბროთ მკითხველს.

გიორგი სოსიაშვილის „თეთრმა ქალაქმა“ ახლახანს იხილა სამზეო. ეს საერთო არქიტექტონიკით შეკრული მცირე ზომის ნოველებია, რომლებიც წმინდა მიწაზე მოგზაურობის ავტორისეულ შთაბეჭდილებებს წარმოადგენს. ხატოვნად მოცემული ბიბლიური სიუჟეტები, რეალური და ირეალური წარმოსახვითი პასაჟები ტექსტს მისტიურ საბურველში ხვევს და დოკუმენტური პროზის საინტერესო ნიმუშად აქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში მოქმედ პირთა გალერეა საკმაოდ მრავალფეროვანია და მსჯელობაც მრავალპლანიანი პალიტრით გახლავთ მოცემული, ჩვენი საუბრის თემა ერთგვარად ლოკალიზებულია და ერთ თემას უტრიალებს. მწერლის მიერ იერუსალიმის წმინდა მიწაზე ფეხის დაბიჯებით აღძრული ემოციის ჩვენება და ამ ემოციით გამოწვეული განცდების ლაბირინთებში გვსურს მეგზურობა გავუწიოთ მკითხველს.

,,თეთრი ქალაქი“ პირველი ფურცლებიდანვე ერთი ამოსუნთქვით იკითხება. შეჩერების საშუალებას არ გიტოვებს თავიდანვე გაცხადებული ინტერესი იდუმალის მიმართ. თხრობის სიუჟეტური განვითარების ლოგიკური ხაზი ეფუძნება ერთის მხრივ ნანახი და განცდილი რეალობის ტრანსლირებას, ხოლო მეორეს მხრივ, ოსტატურად მიგნებულ სახარებისეულ ალუზიებსა და მთხრობელის მიერ ოსტატურად შექმნილი ფანტასმაგორიული შუქ-ჩრდილებით შეხამებული ყოფიერი მოვლენების რეალურობის განცდას.

ხშირად ავტორი არ იფარგლება მხოლოდ აღწერითი ასპექტებით და მკითხველიც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იქცევა დაფიქრებული თეორეტიკოსის თვალით დანახულ სიღრმისეულ მეტამორფოზათა თანამონაწილედ: ,,ღამე ღვთის კარზე... ასცქერი ვარსკვლავებით დაზორტილ ცას და თითქო თვალნათლივ არჩევ ანგელოზებს. აქ გატარებული თითოეული წუთი მთელ

ცხოვრებად გიღირს. თითქო საკუთარი წუთისოფლის დღეებს, საათებს, წუთებსა და წამებს კადრებივით უმზერ და საბოლოოდ ხედავ შენს თავს - ვინ ხარ, რა გინდა, საკუთარი უსუსურობისა და უბადრუკობის შეგრძნება გიმძაფრდება. თეთრ ქალაქში ნებივრობს ღვთიური ღამე. ყველაფერი ამ ქალაქს უკავშირდება. აქ იშვა ღვთის სიტყვა, ადამ და ევა... ჩვენი ფესვებიც ხომ ამ ქალაქს უკავშირდება. აქ მოვიზილეთ თიხისგან და აქვე შთაგვბერა სული სამყაროს შემოქმედმა“ (გვ. 68).

როგორც ვამბობდით, ეს არ არის რაიმე კონკრეტული მიზნით დაწერილი წიგნი. იგი მწერლის იერუსალიმში ხანმოკლე ვიზიტის ანარეკლი გახლავთ ძალზე ორგანულად ჩაწნული მოგონებებით, რომლებიც მოხდენილად მონაცვლეობს წარსულსა და აწმყოს შორის.

მთხრობელის მიერ უგულებელყოფილია მოგზაურობის ზუსტი თანმიმდევრობა. მერე რა, რომ ეს მოგზაურობა ხანმოკლეა, მერე რა, რომ იგი სულ რამდენიმე დღის მანძილზე გრძელდება, სამაგიეროდ მას წინ უძღვის მრავალწლიანი ფიქრი თეთრ ქალაქზე. მის საოცნებო წიაღში მოხვედრის იმედი დიდი ხანია ავტორის სხეულის ნაწილად ქცეულა და ამიტომაც არ ასვენებს მწერალს იქ, ახდენილ ოცნებაში, გატარებული რამდენიმე დღის მწველი შთაბეჭდილებების აკიდო: ,,დღედაღამ მეზმანება იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. ბევრჯერ ვყოფილვარ წარმოსახვით, ბევრჯერ შემიღია მისი ჭიშკარი, ის კი არა, სამრეკლოს ქვეშაც მოვქცეულვარ და ზარი დამირისხებია.

სამრეკლოსკენ იმზირება ჯვრის მონასტრის კრებული; გაკვირვებით ამოსცქერიან ქართველი ბერები - ვინ დარეკა ზარი? ვიღაც აპარულა სამრეკლოზე...

სიზმარი... სიზმარი... რამ ამიყვანა მე უღირსი ჯვრის მონასტრის სამრეკლოზე?!“ (გვ. 80)

იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის დედოზარის ხმას ისეთი პასიონარული ქარიზმა შემოაქვს ტექსტში, რომ მკითხველის მეხსიერებიდან წარმოსახვათა გამკრთალების ალბათობა ძალზე მცირეა: ,,წამოსვლის წინ მესიზმრა იერუსალიმის ქართველთა მონასტერი: ახალგაზრდა მნათე რეკავდა ზარს. ცისკრის წირვა იწყრბოდა; ლევან დადიანის მიერ შემოწირული ზარი რეკავდა სამრეკლოზე და განთიადს ეგებებოდა მონასტრის ეზოში შეკრებილი ჯვრის კრებული. სადაც იყო, ჯვრის მამა გამობრძანდებოდა და წირვას დაიწყებდნენ. ვიდექი და ავცქეროდი ციხესიმაგრის მსგავს მონასტერს. რამდენი სისხლი და ვაება ენახა ქართველთა მიერ ნაგებ უზარმაზარ კედლებს; რამდენი ქართველი ბერის სიცოცხლე ჩაფერფლილა ლოცვაში, შრომასა და სამშობლოს მონატრებაში. ცისკრის ნათელი ადგა ჯვრის მონასტერს და თითქო ამ კედლებსი მოღვაწე ყველა თაობის ბერი ერთად შეკრებილიყო.

ჯვრის მამას შეეგებნენ თავშებურული ბერები. უფრო ხმამაღლა ისმოდა ზარის რეკვა, იტყოდი, ქვეყნიერებას გასწვდებოდა ქართული ზარის ხმა...“ (გვ. 81)

თეთრი ქალაქის ზღურბლზე გადაბიჯება მეორედ დაბადების და პიროვნული მისიის გარდამტეხი მისტერიაა. ყოველდღიური ადამიანური ყოფისთვის დამახასიათებელი ადრეული გნოსტიკურ-ოკულტური დინებებიდან თავის დაღწევასა და სუფთა ჰაერის შეგრძნებასთან ასოცირდება. საზოგადოდ მთხრობელი მშვიდი და ჰარმონიული ფერებით შესრულებულ ტილოს გვთავაზობს. როგორც კი თეთრი ქალაქის ზღურბლს მიატან, მიწიერი ქალაქის გავლით, ზეციურ იერუსალიმში სტუმრობის განცდა გეუფლება. ქალაქში, რომლისთვისაც უცხოა აგრესია, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი...

,,თითქოს ღრუბლებისკენ მიემართებოდეს გზა, ცოტაც და ზეციური ქალაქის კარიბჭეს მივატანთ. ღმერთის საუფლოს ვუახლოვდებით. აქ უკვე წაშლილია ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის. თითქო მე აღარ ვარ ,,მე“ და იმ ორეულად გარდავისახე, მთელი ცხოვრება რო ფეხდაფეხ დამყვება და მეჩურჩულება. ვიხედები და დაბლობში ჩემს თავს ვხედავ. გაბუტული ბავშვივით მომჩერებია. ,,რატომ დამტოვე?“ - მომბღავის ჩემი ,,მე“, რომელიც თანდათან თვალს ეფარება. ნისლის ქსოვილი ეფინება გზას“ (გვ. 111).

ამ სამყაროში რეალობა თითქოს სხვაგვარია, სწრაფად იცვლება დეკორაციები და ცხადზე უცხადესი ხდება კანტისეული ტრიადის მარადიულობა: ,,ცა სავსეა ანგელოზებით. მოდიან და მოდიან მიწისკენ; შორიდან ფანტელებს ჰგვანან, როგორც კი მომიახლოვდებიან, ფრთებს ვამჩნევ. ფეხის განძრევა მინდა, მაგრამ ვერ ვიძვრი. ერთი ორჯერ ვცადე, თავს ძალა დავატანე, ნაბიჯი უნდა გადავდგა-წავიფორხილე, დავიხედე და, ღმერთო დიდებულო, ცაში ვარ! მიწის ნაცვლად ღრუბლებზე ვდგევარ. კი მაგრამ... გარშემო მთები ჩანს, მოთეთრო-მოყვითალო მთები, აგერ სახლებიც - ყველა ერთი ფერის - ყველა ერთნაირ სითეთრეში ჩაძირული და ნათლით გასხივოსნებული. მტრედებივით ღუღუნებდნენ ანგელოზები. მიწიერ ცხოვრებაში მტრედები ანგელოზების ენაზე გვესაუბრებიან თურმე...“ (გვ. 108)

ზოგჯერ ანალიტიკური და ამასთან ექსპრესიული მონოლოგი იტაცებს მთხრობელის ყურადღებას. მისი მაძიებელი მზერა ყურადღებით აკვირდება ყველაფერს, დაწყებული მითოლოგიური არქეტიპებიდან, ვიდრე ათასგვარ წვრილმან დეტალებამდე, რაც მთლიანი ტექსტის სრული კონცეპტუალური ველის ერთიანი შეგრძნებისთვის ჰაერივითაა საჭირო. ასევე, წინამდებარე ტექსტის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ ავტორის სამიზნე სივრცე ესთეტიკური, ეთიკური და ფილოსოფიური ვექტორებით განისაზღვრება. მკითხველის თვალწინ განიხვნება აღქმული ქვეყნის კარიბჭე, მთხრობელის მეხსიერებას შესხეულებული

მოგონებები ერთმანეთის გვერდიგვერდ ინტელექტუალური ნარატივის სიუჟეტურ ქარგაში მოქცეული ერთი მთლიანობის სახით ერთობ ორიგინალური განზომილების სახით მოედინება ჩვენს თვალწინ.

,,ჩემს სიზმრებში სწორედ შენ გხედავდი. ვხედავდი ნათლის სვეტებიან ქალაქს, რომელიც თოვლისფერი სხივების ჩქერალში იყო გახვეული და ის თეთრი მზე, ალბათ, უფლის თვალი იყო, შენ რო დაგცქერის მუდმივად, შენ რო გითვალმზერებს. ანგელოზებიც აქ ბუდობენ, მე რო თეთრ ფანტელებად მეჩვენებოდა. აქ იშვა სამყარო. აქ ხდებოდა შესაქმის გონმიუწვდომელი ამბები, აქ მოხვეტა უფალმა მტვერი მიწის ზედაპირიდან, მოზილა თიხა და კაცად გადააქცია, ნეკნიც აქვე გამოუღო ადამს და ქალიც აქ იშვა პირველად. ერთმანეთი შეუყვარდათ ადამსა და ევას და პირველი სიყვარულიც აქ იყო, ამ თეთრ ქალაქში. აქ იყო გაშენებული დალოცვილი ედემის ბაღი და ვინ იცის, იქნებ ედემბაღის ხეებიდან არის ახლა ეს ხეები ამოყლორტილი. მხოლოდ აქ ეცხადებოდა უფალი მის მიერ ხელქმნილ ადამიანებს; ღვთის კარნახით სწორედ აქ დაიწერა შესაქმე, მეფეთა და წინასწარმეტყველთა წიგნები; კაცობრიობის გადასარჩენი კიდობანიც აქ აიგო, ორმოცდღეღამიან წყალდიდობაში ჩანთქმას რო გადაგვარჩინა“ (გვ. 109).

ტექსტის კითხვისას უმთავრესად თვალში მოსახვედრია ნოსტალგიის განცდა. ეს განცდა რაღაც შორეულის გულწრფელი მონატრების ნაყოფია და არ უკავშირდება წარსულს. ასეთი ნოსტალგიაც არსებობს. ავტორი თავისი სულის ლაბირინთთან დგას და სადაცაა კიდევ უფრო ღრმად, მის „წმიდათა წმიდაში“ ზღურბლს უნდა გადააბიჯოს. საკუთარ თავთან შესახვედრად საგულდაგულოდ ემზადება, ცოტა ნერვიულობს კიდეც. ეს ბედისწერასავითაა. დიდი ხნის ნაოცნებარ და სულის სიღრმეებში ჩამალული სამყაროს აღმოჩენას ესწრაფვის. ეს იმ ჭეშმარიტების ძიებას ჰგავს, რომელიც თითქოს შენშია, მაგრამ იმავდროულად ლეთეს მეორე ნაპირზე მთვლემარე ქარონის საუფლოდან თავდახსნას ლამობს.

,,ვგრძნობ რომ ყველას ცხოვრებაში არსებობს ,,ვია დოლოროსას“ გზა. ეს აღმართიც ყველას გვაქვს ასავლელი. ჩვენი ცხოვრება არაფერი იქნებოდა ამ აღმართის გარეშე. გოლგოთაა ყველაფრის მთავარი დამაგვირგვინებელი; ჩვენც გვაქვს ჩვენი წილი ადამიანური ბეთლემი და ჩვენც გვაქვს ჩვენი წილი ,,ვია დოლოროსა“.

ეს გზა უნდა გაიაროს ყველამ. ტკბილ-მწარე სავალია... ვიღაც ფეხს წამოკრავს, ვიღაც შეგაფურთხებს, ვიღაც ქვას გესვრის... წაიქცევი და თავპირით დაენარცხები, მაგრამ იქამდე მაინც უნდა ააღწიო. სადღაც სვიმონ კვირინელიც დაგხვდება, ოდნავ შვებას რო მოგცემს და ჯვრის ტარებაში შეგეშვლება. მთავარია, რო ბოლომდე იარო. მაცხოვარმა გაიარა ეს გზა და მოგვცა მაგალითი. ჩვენი გოლგოთა, ჩვენი ,,ვია

დოლოროსა“ რა მოსატანია იმ ენით უთქმელ წამებასთან, რაც იესომ განიცადა... (გვ. 141)

ტექსტში შთამბეჭდავადაა ჩაწნული შინაარსის მიმართ სრულიად რელევანტური ბიბლიური ინტონაციები ისე, რომ ავტორი ინარჩუნებს ტექსტის ესთეტიურ მთლიანობას. ასეთი დეტალებიდან უფრო მძაფრია მწერლის ინდივიდუალური ბუნების შეგრძნება. მის იდენტობას ხაზს უსვამს წინა პლანზე გამოტანილი სათქმელი. ბუნებრივია, იგი პირველ რიგში იმ მესიჯს გვთავაზობს, რაც მისთვისაა უმთავრესი და მნიშვნელოვანი.

საგულისხმო დეტალია გოდების კედელთან მიახლების სცენა: ,,მივდივარ და ჩემი თავი შესაწირი კრავივით მიმყავს ვეება კედელთან - თან სინანული, თან ნატვრა... როგორც გინდა ინანო, როგორც გინდა იგვემო საკუთარი თავი, გულის კუნჭულში მაინც ნატვრა გაქვს. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანი ხარ. ღმერთმა დაიფაროს ადამიანი მარტო სინანულით ცხოვრობდეს! მაშინ ერთი სუდარაღა დაგვჭირდებოდა. სიცოცხლეს ნატვრა უხდება! ყველა რაღაცას ნატრობს - მდიდრით დაწყებული და ასკეტი ბერით დამთავრებული. ნატვრაც დარდივით განაწილებულა ადამიანთა მოდგმაში“ (გვ. 169).

„თეთრი ქალაქის“ კითხვისას გეფლება განცდა, რომ ეს არ არის უბრალოდ წარსულში ნანახის გადმოცემა ეს უფრო წინაპართა შორეული სამყოფელიდან მოწვდენილი ხმაა, მოკრძალება, ხსოვნა და შენი სულის ამოძახილიც ერთდროულად. ეს ყველაზე უფრო მოხდენილი გზაა ადეკვატურ წარმოდგენებამდე, რეალობის სრულყოფილად აღქმამდე.

საგულისხმოა, რომ თეთრ ქალაქში დრო თითქოს გაიყურსა. ეს არ არის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ყოველდღიურობისთვის დამახასიათებელი მძაფრი საბრძოლო ვნებების და საინფორმაციო საშუალებებით განხორციელებული მედია შერკინებების ანარეკლი. უკანა რიგებიდან გვადევნებს თვალს ანალიტიკოსებისა და ექსპერტების მიერ ხელდასხმული მოვლენების ე.წ. „ობიექტური“ გაშუქება. ძირითადი ადგილი მიკუთვნებული აქვს მსუყედ წარმოდგენილ, რეალობის მწერლისეულ, სუბიექტურ აღქმას. არა მიუკერძოებელი არბიტრის შეუვალ პოზიციას, არამედ გულგახსნილი მთხრობელის საკუთარ ხედვას, ეს თვითმხილველის თავგადასავალია, მოთხრობილი სულისშემძვრელი ემოციითა და განცდით.

ასეთია წმინდა მიწაზე პირველად სტუმრობის ემოცია: „თითქო უსხეულოდ მივაბიჯებ; სულია თუ სხეული, ვეღარ ვიგებ. საკუთარი თავისას რო ვერ იგებ, ამ უკიდეგანო სამყაროს როგორ შეიცნობ, უზენაესის საიდუმლოებას როგორ ჩასწვდები-

რისთვის შეგქმნა, რისთვის გაგაჩინა, რისთვის გაქცია შესაქმის გვირგვინად?!...“ (გვ. 18).

ასეთია იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში პირველად სტუმრობის ეპიზოდი: „შევდივართ და მუხლები მითრთის. ძველ საქართველოში დავბრუნდი... იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ვარ; ამისრულდა ბავშვობის ოცნება. თვალწინ ისევ გამიელვებს კედელზე ჭიკარტით მიმაგრებული რუსთაველის პორტრეტი, რომელიც თავის დროზე ბერმა ტიმოთემ აღმოაჩინა და ქართულ საზოგადოებას ამცნო. ქართულ წარწერებსა და ფრესკებს მონუსხული ვაკვირდები. ღმერთო დიდებულო! ეს რა საოცრებაა! რა წინაპრები გვყავდა, რა ქვეყანა გვქონდა. არა მარტო ჩვენს სამშობლოში, აქაც ვამტკიცებდით ქრისტეს გასაოცარ მხედრობას“ (გვ. 96).

გიორგი სოსიაშვილის „თეთრი ქალაქის“ ერთ-ერთ ღირსებად ფრაზით კეკლუცობის მინიმუმამდე დაყვანა და უბრალოება მიგვაჩნია, რაც ავტორის დიდ შინაგან ტაქტს წარმოადგენს. თითოეული სიტყვა, თითოეული დიალოგი ბუნებრივი, ხალასი სასაუბრო ენითაა გადმოცემული. მკითხველი მრავლად შეხვდება ტექსტის მაცოცხლებელი გულახდილობით გაჯერებულ სცენებს.

„იტყვი, მთელი ცხოვრება ბისტიანი თვალებით მივლია და მხოლოდ ახლა დამიბრუნდა თვალისჩინი. რისთვის მოგვიყვანა უფალმა? რისთვის დაგვანახვა თვალხილული სამყარო? რისთვის გვაჩვენა ერთმანეთი? გადის წლები და ვერც ვგრძნობთ როგორ იწურება ჩვენი ერთად ყოფნის წლები, დღეები, საათები, წუთები... ვერ ვგრძნობთ, როგორ ვშორდებით ერთმანეთს.

აქ თითქო მაღლიდან დასცქერი საკუთარ თავს, ხვდები, ვინც ხარ, რას წარმოადგენ, რა როლი გაკისრია და, რა გაგიკეთებია ღვთის წინაშე; შენს უმწეობას გრძნობ; კიდევ იმას გრძნობ, რო სიყვარული შეგიძლია და აქ ყოფნის რაღაც გარკვეული დროღა დაგრჩა, ვიდრე სხეულიდან გახვალ, ვიდრე იმ განზომილებაში გადაინაცვლებ, სადაც ანგელოზებისა და მიწიერი სოფლიდან გასული ადამიანების სულების დანახვა შეგიძლია. გრძნობ, რო კიდევ დაგრჩა დრო სიყვარულისა...“ (გვ. 176).

მთხრობელის გულწრფელი აღსარების, გულისხმიერი ემოციის პირუთვნელად ამსახველი პასაჟები და მკითხველისადმი ალალი დამოკიდებულება განგვიმტკიცებს რწმენას, რომ „თეთრი ქალაქი“ მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შენაძენი და მართლაც საინტერესო ნიმუშია. ამ ჟანრის უმთავრესი თავისებურება (და ვფიქრობ უპირატესობაც) ხომ სწორედ ის გახლავთ, რომ მკითხველისთვის ისეთი დეტალების გაცნობის შესაძლებლობები გაიშალოს, რისი წაკითხვაც სხვაგან შეუძლებელია.

და ბოლოს, ერთი ღამეული ზმანების ეპიზოდსღა წარმოგიდგენთ. იერუსალიმი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. აქაური მზეც კი თითქოს სხვაგვარად

ეჩვენება მწერალს. მზე, რომელიც დილიდანვე მოუცლელია, ჯერ სამხრეთული უდაბნოს სუნი არ მოუცილებია და უკვე ჩრდილოეთით გალილის მთებისკენ უჭურავს თვალი, არც იუდეის მთიანეთი გამოეპარება. სამარიის მთებსსა და იუდეის უდაბნოს აღმოსავლეთით იორდანიის დაბლობსაც მოავლებს თვალს. სამხრეთ-აღმოსავლეთით მკვდარი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს ამბებს მოიკითხავს და ძალზედ მხცოვანი, მაგრამ ძველებურად შემართებული და ძალოვანი იერუსალიმის ჯერიც დგება. შეიძლება აქაური მზე მართლაც სხვაგვარია, მაგრამ მწერლის სიზმრისეული ოქრომნათობი სულ სხვა მზეა. ხილული მზისგან სრულიად განსხვავებული „თვალისმომჭრელი ამოცურებული მნათობი“ ჩვენი აზრით, მაცხოვრის ჰიპოსტასს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მზის ასეთი სახისმეტყველებითი შინაარსი ერთობ გავრცელებულია, მწერლის მიერ შემოთავაზებული ფორმა ორიგინალური და საინტერესოა: „სიზმარში ვნახე ვარდობისთვის ოქრომნათობი. მზე ბევრჯერ დამსიზმრებია. ღამეულ ხილვებში ბევრჯერ ამოუყვია თავი დალოცვილ ცხრათვალას, მაგრამ ეს სულ სხვანაირი მნათობი იყო; თეთრი სხივები ჰქონდა და უცნაურ ნათელს გამოსცემდა, მზის სინათლისგან განსხვავებულ ნათელს. იქნებ მზე არ არის? ვაკვირდებოდი: ყვითელ მთაზე ჯიღასავით იდგა და თეთრი თვალებით დასცქეროდა ამ საოცარ ქალაქს, რომელიც ნათლის სხივებში იყო გახვეული; სულ სხივები, სხივები, თვალისმომჭრელი სითეთრე იყო ყველგან. ჩვეულებრივ მზეს მცირე ხნით მაინც შეხედავ, ვიდრე მზის ჭიანჭველები დაგესევა და თვალებს დაგიკბენენ, ერთხელ მაინც მოასწრებ თვალის შევლებას. შემდეგ მეხსიერებაში ჩაგრჩება მისი ელვარება. ყვითელ მზეზე ამოცურებულ მნათობს ოდნავადაც ვერ შევავლე თვალი. მზერა ვერ დავიმორჩილე. ტრიალ მინდორში ვიდექი და თვალისმომჭრელი სიქათქათე იყო ირგვლივ. სულის შემხუთველ ხვატში სუნთქვა მიჭირდა, ყელში თითქო თოკს მიჭერდნენ და, სადაც იყო ხროტინს დავიწყებდი. უცბად ენით უთქმელი ნეტარება ვიგრძენი. ამ პაპანაქება სიცხეში, თოვლის ფანტელი დამეცა მკლავზე; ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე მესამე... ეცემიან ფიფქები და გაურკვეველი მიმართულებით მიფრინავენ. ვაკვირდები და... ღმერთო დიდებულო, ანგელოზები! ფიფქები კი არა, ანგელოზები არიან!“ (გვ. 107)

„თეთრი ქალაქის“ მრავალფეროვან პალიტრას მკვეთრ ფერად გასდევს ცხოველი სიყვარულის გრძნობა. სიყვარულის განცდა მოყვასის, ადამიანების მიმართ. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში, ღვთის საუფლოში სტუმრობის სცენიდან ერთი ეპიზოდი ჩაგვრჩა მეხსიერებაში, რომელშიც, ვფიქრობთ, ავტორისეული სულიერი კრედოა გაცხადებული. მხედველობაში გვაქვს უკუნ სიბნელეში წყლის წვეთის საკრალური ხმაური, წყლის, როგორც განახლების, მარადიულობის

არქეტიპის, რომელიც ღვთის იმედით მომავლის რწმენასთან ასოცირდება. წყლის წვეთი უკუნს კვეთს და მომავლის რწმენას გინერგავს: „წინ უკუნი სიბნელეა... არაწამიერ მდუმარებს წყლის წვეთის ხმა არღვევს, რომელიც ყოველ ხუთ წამში ეცემა და უცნაურ მუსიკას გამოსცემს...“ (გვ. 101)

მკითხველმა კარგად უწყის, რომ გიორგი სოსიაშვილის პროზისთვის მხატვრული სახეებით აზროვნებაა დამახასიათებელი. მოქმედ პირთა გალერეაში თითოეული პერსონაჟი დიდი სიფრთხილით და ოსტატობით გახლავთ ნაძერწი. თვითმყოფადი ლიტერატურული ალღოს წყალობით ენა მსუყე და მოქნილია, ხოლო მხატვრული პალიტრა მრავალფეროვანი და სუბიექტური თვალთახედვით შექმნილი.

რაც შეეხება საერთო ენობრივ ქსოვილს, სინტაქსური და სტილისტური დინამიკა ორგანული და რელევანტურია.

გიორგი სოსიაშვილის „თეთრ ქალაქში“ ავტორის ყურადღება ხშირად კონცენტრირდება მძაფრი ესთეტიკური ტრაგიზმით აღწერილ დეტალებზე, რის გამოც ძირითადი ტექსტი კიდევ უფრო მახლობელი და საინტრესო ხდება.

ყოველივე ზემო თქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ მკითხველს არ გაუჭირდება გზის პოვნა ამ წიგნისკენ.

ალექსანდრე მღებრიშვილი